საქართველო, ქ. თბილისი
შ.პ.ს. მონოლითი
202242233
თევდორე მღვდლის ქ. №5

GEORGIA, TBILISI
„MONOLITI“ L.T.D.
202242233
5 TEVDORE MGVDELI STR.

№11/18

„08 - თებერვალი 2018წ.

მოქალაქე ამირან მახარაძეს.

საექსპერტო-ტექნიკური დასკვნა ქალაქ თბილისში, ისანის რაიონში, წურწუმიას ქუჩა №14-ში მდებარე შენობის შესახებ.

შემოწმება ჩაუტარდა ქალაქ თბილისში, ისანის რაიონში, წურწუმიას ქუჩა №14-ში მდებარე შენობას მისი ტქნიკური მდგომარეობისა და საექსპლოატაციო ვარგისიანობის შეფასების მიზნით.

არსებული შენობა (ს/კ №01.17.01.076.009) სავარაუდოდ აგებულია XIX- XX საუკუნეების მიჯნაზე. შენობა გეგმაში მართკუთხა მოხაზულობისაა, გაბარიტული ზომებით L×B≈18×16მ. და მდებარეობს მიწის ნაკვეთზე საერთო ფართობით A=264 1მ.^{2} ეზოში მოხვედრა შესაძლებელია ალ. წურწუმიას ქუჩის მხრიდან არსებული შესასვლელი ჭიშკარის საშუალებით. საკვლევი შენობა სარდაფის არამქონე ორ სართულიანია, შენობის მთავარი ფასადი (სიგრძით≈19მ. სამხრეთი მხარე) ორიენტირებულია წურწუმიას ქუჩის გასწვრივ. შიდა ეზოს მხარეს (მთავარი ფასადის მოპირდაპირე, ჩრდილოეთი მხარე) შენობას გააჩნია მოგვიანებით მიშენებული და ამოშენებული ხის შემინული ნაწილი.

კონსტრუქციულად საკვლევი შენობა მზიდ კედლებიანია, ნაშენი წითელი აგურის წყობით კირისა და ქვიშის ხსნარზე. სართულშუა და სასხვენო გადახურვები შესრულებულია ხის კონსტრუქციებით. სახურავი ხის, მრავალქანობიან ნივნივებზე. ბურულის მასალა ფოლადის ფურცლები. შემოწმებით დადგინდა, რომ საკვლევი შენობის მდგომარეობა არადამაკმაყოფილებელია. კედლებზე ფიქსირდება საძირკვლების არათანაბარი ჯდენების შედეგად განვითარებული სხვადასხვა სიდიდის დახრილი ბზარები. გარკვეულ ადგილებში შეინიშნება გრძივი და განივი კედლების შეუღლების კავშირების რღვევა. წყობის დაზიანება განეკუთვნება მესამე სტადიას (სულ ოთხი სტადია), რაც სახიფათოს ხდის მის შემდგომ ექსპლოატაციას. დაზიანებული და დეფორმირებულია ხის სართულშუა გადახურვები, უკანა ეზოს მხარეს არსებული ხის აივნების კონსტრუქციები.

საკვლევი შენობა არ არის გაანგარიშებული თანამედროვე სეისმომედეგი მშენებლობის მოთხოვნათა გათვალისწინებით და საანგარიშო სეისმური დატვირთვების ზემოქმედებისას მისი დაზიანება მიაღწევს აგურის წყობის მუშაობის მეოთხე სტადიას ეს კი გამოიწვევს კედლების რღვევას მათ მიერ მდგრადობის დაკარგვის გამო.

დასკვნა:

ქალაქ თბილისში, ისანის რაიონში, ალ.წურწუმიას ქუჩა №14-ში მდებარე სარდაფის არმქონე ორ სართულიანი წითელი აგურით ნაშენი მზიდ კედლებიანი შენობის ტექნიკური მდგომარეობა არადამაკმაყოფილებელია. იგი ვერ აკმაყოფილებს თანამედროვე სეისმომედეგი მშენებლობით (პნ.01.01-09) განსაზღვრულ მოთხოვნებს. საძირკვლების არათანაბარი ჯდენებისა და ასევე დიდი ხნის ექსპლოატაციის შედეგად, მზიდი კონსტრუქციების მიერ ფიზიკურ-მექანიკური და საექსპლოატაციო თვისებების შემცირების გამო, შენობას დააჩნია საკმაო დაზიანებები და დეფორმაციები (აგურის წყობის მუშაობის მესამე სტადია). მისი ექსპლოატაცია საშიშია ადამიანების სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის, მით უმეტეს, რომ შენობაში უნდა განთავსდეს საზოგადოებრივი დანიშნულების ობიექტი. კერძოდ მცირე მუზეუმი და ბიბლიოთეკა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე არსებული შენობის გაძლიერება არაეფექტური და არარენტაბელურია, საჭიროა მისი დაშლა-აღდგენა, თანამედროვე მასალებითა და ტექნოლოგიებით განსაზღვრული, ამასთან თანამედროვე სეისმომედეგი სამშენებლო

ნორმებისა და წესების მოთხოვნების სესაბამისი შენობის აგება. რაც შეეხება ძირითადი ფასადის არქიტექტურულ-მხატვრულ იერ-სახეს, რომელიც შერწყმულია ადგილობრივ გარემოსთან, მისი გათვალისწინება შესაძლებელია პროექტის არქიტექტორთა მხრიდან. (ქვემოთ იხილეთ არსებული შენობის ფოტომასალა).

შ.პ.ს. "მონოლითი"-ს
დირექტორი. /გ. იაშვილი/

მთავარი ინჟინერი. /მ. საველიძე/

საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო
Georgian National Agency for Cultural Heritage Preservation

KA990124901319818

№14/1234

12 / აპრილი / 2018 წ.

შპს "აისი"-ს დირექტორს ბატონ ამირან მახარაძეს
მის.: გორგასლისა და გრიბოედოვის 153/29

ბატონო ამირან,

მიმდინარე წლის 26 მარტის N167 წერილის პასუხად გაცნობებთ, რომ საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს თანამშრომლებმა, ადგილზე შეისწავლეს ქ. თბილისში, წურწუმიას ქ. N14-ში მდებარე შენობის ტექნიკური მდგომარეობა.

შენობა აგებულია მე-20 საუკუნის დასაწყისში, რაღაც სახაზინო დანიშნულებისათვის, რომლის განსაზღვრის უფლებას გვაძლევს მისი ელემენტარულად მარტივი გეგმარება. ნაგებობა ორსართულიანია, მის დასავლეთ ნაწილში ვიწრო სარდაფის ჩაუთვლელად.

შენობა აგებულია რუსული აგურით, კირდუღაბის გამოყენებით, კვეთი 71 სმ.; ზღუდარებიც აგურისაა, სოლისებური წყობით, პირველი სართულის გადახურვა ხის კოჭებზეა განხორციელებული; ჩრდილოეთის მხარეს მიშენებული ჰქონია ხის ბოძებზე გამართული აივანი, რომელიც ამჟამად ცალფა აგურის წყობით არის შევსებული. შენობის ერთადერთი ღირსშესანიშნაობაა ორიგინალურად გადაწყვეტილი სხვენის გადახურვა და სახურავის კონსტრუქცია. კიბის უჯრედის შემომფარგვლელი ორი გამჭოლი კაპიტალური კედლის არსებობის მიუხედავად სახურავი დაყრდნობილია გარეთა კედლებზე და ამავე კონსტრუქციაზე არის შეკიდული სხვენის გადახურვა.

ნაგებობა შელესილია ქვიშა-ცემენტის ხსნარით. შელესვა გვიანდელი არ უნდა იყოს, რაც გარკვევით ჩანს ბათქაშშემოცლილ წყობაზე და აგრეთვე, დასტურდება დაუზიანებელი მონაკვეთების გაფხეკით.

შენობის კომპაქტური გაბარიტების მიუხედავად (დაახლოებით 18,2X13,4X8,0 მ.) იგი ძლიერ დაზიანებულია, განსაკუთრებით მისი აღმოსავლეთი ნაწილი. როგორც აღვნიშნეთ ფასადის მართობულად შენობას ორი გამჭოლი კედელი გააჩნია, ხოლო ფასადის პარალელურად (განივი მიმართულებით) ერთი კაპიტალური კედელია პირველ სართულში და ისიც მხოლოდ კიბის უჯრედის და დასავლეთის კედლების მართობულად, ანუ პირველი სართულის სანახევროდ, ხოლო მეორე სართული შიდა კაპიტალური კედლების გარეშეა დატოვებული.

ამასვე უნდა დაერთოს აღმოსავლეთის კედლის ქვეშ განვითარებული ჯდენები და სავსებით გასაგები ხდება ის სავალალო მდგომარეობა, რომელშიც შენობაა მოქცეული. ზღუდარები და შუაკედლისები, რომელთა სიმტკიცეზეა დამოკიდებული აგურის შენობების მდგრადობა, გამოსულია წყობიდან.

შესაბამისად, აუცილებელია სრულყოფილი, მაგრამ დროებითი გამაგრების ლითონის კონსტრუქციების შექმნა, სამუშაოთა უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად.

როდესაც შენობის ორივე სართულზე, ოთხივე მიმართულებით თვალნათლივაა გამოვლენილი მასობრივად დაბზარული კედლები, ვერტიკალური სიბრტყიდან გამოსული და დაბრეცილი შუაკედლისები, საყრდენებიდან დაძრული და გაგლეჯილი ზღუდარების ერთობლიობა, შეიძლება გადაუჭარბებლად ითქვას, რომ ნგრევისა და დაზიანების სრულყოფილი აღდგენა ფაქტობრივად შეუძლებელია.

ნაგებობის მძიმე ტექნიკური მდგომარეობიდან გამომდინარე მიზანშეწონილია დაიშალოს ძეგლი და აღდგეს თავდაპირველი სახით. აღდგენის აუცილებელ პირობად უნდა იქნას მიჩნეული განსაკუთრებული ნიშნით გამორჩეული სახურავის კონსტრუქცია, კიბის და სხვა დამახასიათებელი ელემენტის შენარჩუნება;

საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილების შესაბამისად, მიმდინარე მშენებლობის უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით, შენობის რესტავრაციისას აუცილებელია სრულყოფილი დროებითი დამცავი

ნაგებობის მოწყობა. შენობის მდგომარეობის გათვალისიწინებით, აუცილებელია სახურავის მოხსნა, სხვენის გადახურვის დაშლა და იმავდროულად კედლების ნგრევის საშიშროების თავიდან აცილება.

პატივისცემით,

გენერალური დირექტორი  ნიკოლოზ ანთიძე